სახალხო გაზეთი

№ 624 ხუთშაბათი, 14 ივნისი, 1912 წ. № 624

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდილი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ-ინახება; ინახება ერთი-თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები, პირადად მიტანა პარასკევს შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს—გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა **1912 წლისათვის.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „ზრდემლს".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ს.-პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს გამგეობა ამით აუწყებს სათვისტომოს წევრებს, მოსწავლე ახალგაზდობას და საზოგადოებას, რომ დღეს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე. დიდუბის ეკლესიის გალავანში გადახდილი იქნება პანაშვიდი

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1.1336.1)

კვირას, 17 ამა ივნისს

დავით ზამარიას ძის საარაჯიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა **ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.** წირვის დასაწყისი დილ. 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (3.512.1)

ახალი კლუბი

ხუთშაბათს, 14 ივნისს, ქართულ თეატრის მსახიობთა მიერ **ვ. აბაშიძის** და **კ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება მხიარული პიესა

ქარაფშუტა, კომედია 3 მოქმედ. ვიქტორიენ სარდუსი (სამშობლოს ავტორი), თარგმანი კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტ. პიერტა, მ. ვიქტორელი, ბ ნნ: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ი. ციციძე, ა. ალექსიძე, **დასაწყ. საღ. 8½ ს.** ბილეთები იყიდება თეატრის კასში.

(1.510.1) რეჟისორი **კ. მესხი.**

ახალი კლუბი

შაბათს, 16 ივნისს, საზაფხულო თეატრში გაიმართება

კონცერტი ცნობილ ნიურენბერგელ ქალის

სოფიო ვ. რაბუს-ტარუმიანცისა,

და **სიმფონიური ორკესტრი ს. ი. პრესმანის** ხელმძღვანელობით. **დასაწყ. საღ. 9 ს.** შესასვ. ფას. 1 მ. 50 კ.-დან 25 კ.-დე. კლუბში შესასვ. ფასი მამაკაცთათვის 50 კაპ., ქალ. და მოწაფეთათვის 25 კ. (1.1306.)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 20 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე, მის საკრებულოში, დანიშნულია (ვაჭრობის გადაუდებლად)

საჯარო ვაჭრობა.

პირადის განცხადებით და დაბეჭდილ პაკეტების წარდგენით, სავაჭო გიმნაზიის საგიმნასტო დარბაზისა ზ ორ საკლასო ოთახის აგებისა და აგრედვე ამავ გიმნაზიის ეზოს გარშემო 173 საჟ. რკინამეტინის გალავნის შემოვლების **იჯარით გასაცემად.** საჯარო ვაჭრობა დაიწყება 18,000 მანეთიდან ამისათვის, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ამ თანხის 10% ნაღდად უნდა წარმოადგინოს ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ ქაღალდებით. პირობებისა, პროექტისა და სმეტის განხილვა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ საქმის დღეს დილის 8 საათიდან ნაშრადღევის 1 საათამდე. (1.1335.1)

ზუგდიდის სახალხო სახლი

ქართულ სახალხო წარმოდგენების წრის

წლიური საზოგადო კრება

მოხდება პარასკევს, 15 ივნისს, 1912 წ. საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში. განსახილველი საგნები: 1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) ხარჯთ-აღრიცხვა და 3) გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევანი. კრება შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3.1331.2)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუბისა და აწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1967) (100—1117—179).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—53)

20 ივნისიდან ქ. გორში გამოვა ყოველდღიური სალიტერატურო, სამეურნეო, სავაჭრო, სასოფლო გაზეთი

ქართლი

გაზეთი ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით ეღირება წელიწადში 5 მან., უდამატებოდ 4 მ., თვიურად 11 შაური, **ცალკე ნომერი 3 კაპ.**

რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**

ფული და დასაბეჭდი წერილები უნდა გამოიგზავნოს **ი. ცინცაძის** სახელზე. (5.1333.1)

სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი ექიმ ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

კასტარა ცემი

დაარსებულია 1904 წ. მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ღამბაშიძეს,** ქ. ტფილისს.

მიიღება დაჭანტული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი. **არ მიიღება** სიჭლეჭით დაავადმყოფებულნი, (25.1291.19)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგან ავადმყ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავადმყ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სრულიგბაში.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავად. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. ავად.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermsn. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.40)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საუნი 30 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 314)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კსპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.24

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიანი** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 1

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეორიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლოგა „606"-ი.

(წლ—1018—286).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეზმძიმეთ, დედათაბუნებისა. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვახინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. დოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 185)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მის. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022--36)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი.-ქ.ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მლებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

ბრგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. ½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., პარ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წიდაწინვე ჩაწერით. (თ—1234.17)

დოქტორი მედიცინისა

ზ. ი. ქალანთაროვი,

ზაფხულობით იღებს ავადმყოფებს **ყელეზნოვოდსკში:** შინაგან და ნერვ. ავადმყოფ. (წამლ. ელექტრ.)

ადრეს.: კურსავოის ქ. აგარაკი კარპოვისა. (4.511.1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6--7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (ო)

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა** პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—108)

ექიმი **კბილისა აბასთუმანში** ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—1)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.123).

ექიმი ივ. გოგმართელი მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიღან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.14)

ექიმი **კბილისა** ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

სომხური პრესა

„მშაკი"-ს რედაქტორი ბ. ჰ. არაქელიანი მხცოვან პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გამო, მის დაკრძალვის დღეს, ამ გაზეთის № 125-ში მოთავსებულ ძეთაური წერილში შემდეგსა სწერს:

„დანაკლისი, რომელიც მოუვიდა ჩვენს მოძმე ქართველ ხალხს და განსაკუთრებით ქართულ სკოლას იაკობ გოგებაშვილის სიკვდილით, სწორედ რომ მძიმე და შეუდარებელია. შეუდარებელია, ვინაიდან ნამდვილი, უანგარო სახალხო მოღვაწეთა და უბიწო მამულისშვილთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ ყველა ამ გვარი დანაკლისი ასუსტებს მოღვაწეთა უმიმოდაც მცირე რიცხვს. რატომაა, რომ დღეს მთელი ქართველო, მთელი ქართველი ხალხი, ქართველი ინტელიგენცია უდიდეს სინანულით სტირის იაკობ გოგებაშვილის სიკვდილს!

როგორც მომაკვდავმა მან დიდხანს იცოცხლა და ახლა კმაყოფილი უნდა იყოს, რომ დასასვენებლად წავიდა ამ უაზრო და სიცალიერით საავსე ქვეყნიდან, მაგრამ როგორც საზოგადო და განსაკუთრებით სასკოლო მოღვაწე, ვითარცა ადამიანი, რომელმაც მრავალ წლების განმავლობაში იმუშავა, იშრომა თავის დედა ენის, თავის სამშობლო სკოლის განვითარების და გაფართოვებისათვის და დღეს მის სიკვდილით ეს ენა, ეს სკოლა ობლდება და მას შორდება თავის მნიშვნელოვანი მუშაკი, ჩვენც ჩვენს მოვალეობათა ვსთვლით გულწრფელი თანაგრძნობა და სინანული გამოუცხადოთ ქართველ ხალხს, ქართულ სკოლას და ინტელიგენციას.

და გოგებაშვილის სიკვდილით ჩვენ მარტო ერთ-ერთ ქართველ მოღვაწეს არა ვკარგავთ.

როგორც ნამდვილი პატრიოტი, გოგებაშვილი ამასთანავე ნამდვილი კაცთ მოყვარე იყო; ეს დამამტკიცებელია მისი ანდერძი, რითაც ავალებს მის აღმასრულებელთ, რათა თავისი ფულით დაეხმარონ სომეხთა და მაჰმადიანთა საქველმოქმედო დაწესებულებებს. კარგი, პატიოსანი პატრიოტი ამასთანავე კარგი და პატიოსანი კაცთ-მოყვარეა.

შრომა, ოფლის დაღვრა მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში დედა ენია და სამშობლო სკოლისათვის — ეს იშვიათი მოვლენაა და ყველა კაცის ხვედრი არ არის.

დიახ, ეს ისეთი ადამიანია, რომელსაც მთელის სიამაყით შეუძლიან უთხრას თავის ხალხს სამარის პირიდან: „მთელის ძალ-ღონით ვიმუშავე შენთვის, ჩემი სამშობლოს ღირსეული შვილი ვიყავი და დაე ჩემმა სამშობლომ დამითხოვოს მე დავისვენო საუკუნოების უბეში.

განისვენე მშვიდათ კეთილო მამულიშვილო და კარგო კაცთ-მოყვარეო".

* * *

სომხურ ყოველკვირეულ ჟურნალის „ჰოვიტის" უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ნეკროლოგი; აღწერილია მისი მოღვაწეობა, წერილი თავდება ამ სიტყვებით:

„მძიმეა ჩვენი მეზობლების დანაკლისი და ძლიერ დასანანი.

ჩვენ ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას ჩვენსავით დევნილ ერის მწუხარებას და ვუცხადებთ მას ჩვენს უღრმეს თანაგრძნობას.

პატივისცემა ქართველ დიდ მოღვაწის ხსოვნას".

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ცნობილი ნ. დურნოვო „ს.-პეტერბურგს. ვედომოსტ"-ში კვლივ უბრუნდება ეპისკ. დავითის მოულოდნელად გადაყვანის საკითხს:

„საქართველოში რუსი ეგზარხოსის კანცელარიის მმართველის დეპეშა, რომელიც დაბეჭდილი იყო № 120 „ს.-პეტერ. ვედომოსტ.", სრულიად ლიტონი სიტყვით უარჰოფს მას, რაც მოხდა. დაწვრილებითი ცნობები შესახებ იმისა, რომ ეპისკ. დავითს აუკრძალეს თავის სამწყსოსთან გამოთხოვება, ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა მოგვაწოდა. კირ-ეგზარხოსს შეუძლიან უარჰყოს ყველაფერი, რაც მას უნდა, მაგრამ ფაქტები ფაქტებადვე დარჩება. ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ ეპისკ. დავითი არა თუ დაადასტურებს ჩვენ მიერ მოყვანილ ცნობას მისთვის მღვდელმსახურების აკრძალვის შესახებ, არამედ არ შეუშინდება აგრედვე დაამტკიცოს დეპ. გეგეჭკორისაგან ამ წლის 5 მარტს სათათბიროში ნათქვამი სიტყვები, რომ ეგზარხოსი დასცინის საქართველოს ეკლესიასო: ამ სიტყვების სიმართლე თვით ვ. კ. საბლერმაც ვერ უარჰყო. მოვაგონებთ კირ-ეგზარხოსს მისგან ცნობილი ქართველი ნასწავლი ეპისკ. კირიონის დაცინვას, რომელიც 1908 წ. მიტროპ. ანტონთან უჩიოდა, მაშინ ტამბოვის ეპისკოპოსად ყოფილს, კირ-ინოკენტის, რომელიც სანაქსარის მონასტრის იღუმენს სწერდა პყრობილების სიმძიმის გაორკეცებას უდანაშაულოსა და მორჩილ ეპისკოპოსისათვის, რომელსაც ი. ვოსტორგოვმა ცილი დასწამა პ. ა. სტოლიპინის წინაშე. რომ მიტროპოლ. ანტონისა და კეთილის მოყვარე მიტრ. ფლავიანის მფარველობას არა, რომელიც კარგად იცნობდა უანგარო-ეპისკოპოსს, აგრედვე რომ ტფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებლს არა, რომელმაც გამოააშკარავა რუსის ცრუპატრიოტთა მოღვაწეობა ტფილისში, ყოველადსამღვდელო

კირიონს საფლავის კარამდე მიიყვანდნენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, არა თუ მხოლოდ ეპისკ. დავითი, არამედ ყოვლადსამღვდელონი ლეონიდე და კირიონიც დაამტკიცებენ კირ-ინოკენტისაგან, როგორც უხეშად მოპყრობას ქართველი ეპისკოპოსებისა და კრებულისადმი, ისე მის ზიზღს ქართველ სამწყსოსადმი.

არც ყოვლადსამღვდელო გიორგი გაჩუმდება, რომელიც შევიწროებულია ეგზარხოსისაგან ეპარქიის მართვის საქმეში... იგი ხომ მოღალატე არაა თვისი ეკლესიისა და ხალხისა...

ჩვენ არ ვიცით, რაგვარ ინსტრუქციებს ღებულობს კირ-ინოკენტი ვ. კ. საბლერისაგან, მაგრამ ვფიქრობთ კი, რომ ამ ინსტრუქციებს არ უნდა ჰქონდესთ მიზნად იმ ხალხების დევნა, რომლებიც ასი წლის განმავლობაში ძმურადა და ერთობით სცხოვრობენ.

რაც შეეხება მას, რომ ყოვლად სამღ. დავითი არ გამოეთხოვა ეგზარხოსს, რასაკვირველია, უცნაური იქნებოდა იმ მწყემსთავართან გამოთხოვება, რომელიც თითქმის ყოველდღე გამოსთქვამდა თავის მტრულ გრძნობებს ქართველი სამწყსოისა და კრებულისადმი, რომლისთვისაც საეკლესიო კანონებს არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ აქვს. ასე რომ არ ყოფილიყო კირ-ინოკენტი არ მიიღებდა საქართველოს ეკლესიის მართველის თანამდებობას, იმ ავტოკეფალური ეკლესისა, რომელიც არ შეიძლება დაექვემდებაროს რუსის საეკლესიო მართველობას და მიჰყვებოდა მის წინამოადგილე ეგზარხოსთა მაგალითს: როგორც ნიკოლოზი, რომელმაც ყურადღება რა დიდი პასუხისმგებლობა წინაშე ღვთაებრივი მწყემსთავრისა, უარი განაცხადა საქართველოს ეგზარხოსობაზე, აგრედვე კირ-ნიკონი, რომელიც პროფესორ ა. ცაგარლის სიტყვით, უარს ამბობდა ეგზარხოსობაზე და პეტერბურგს მიჰქონდა პროექტი მისი გაუქმების შესახებ.

დასასრულ, კირ-ინოკენტიმ უნდა იცოდეს, რომ არავითარ საეკლესიო ძალას უფლება არ აქვს ერთი ეკლესიის ეპისკოპოსი მეორეში გადაიყვანოს, რომ ამისათვის საჭიროა თვისი ეკლესიისაგან დათხოვნის უსტარი სხვა ეკლესიაში გადასასვლელად.

იქნება კირ-ეგზარხოსმა უბრძანოს თვისი კანცელარიის მართველს საეკლესიო კანონების გაუქმება, იმ კანონებისა, რომელიც ერთს ავტოკეფალურ ეკლესიას უკრძალავს თვისი სამსხვერპლოების და ეპისკოპოსების დაყენებას მის მზგავსსავე ავტოკეფალურს ეკლესიაში?«

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ ი. **გოგებაშვილის ხსოვნის აღნიშვნა.** პეტერბურგის ქართულ-სათვისტომო გამგეობას გადაუწყვეტია დღეს 6 საათზედ პანაშვიდი გადიხადონ განსვენებული იაკობ გოგებაშვილის საფლავზედ, გვირგვინით შეამკონ საფლავი და ათი მანეთი შეიტანონ იაკობ გოგებაშვილის ფონდში.

✦ **ტრამვაის ვაგონის** წინა ბაქანზე დღემდე მგზავრებს დადგომის სება ჰქონდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაგონის ყველა სხვა ადგილი დაჭერილი იყო. 14 ივნისიდან წესი შეცვლილია. წინა ბაქანზე დადგომის ნება ყოველთვის აქვს, მხოლოდ არა უმეტეს 4 კაცისა.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარია** 20 ივნისიდან გოლოვინის პროსპექტზე გადადის, ოქოვის სახლში № 34.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის** უფროსმა ვაჭართა მამასახლისს აცნობა, ნება დართულია, რომ სოლოლაკში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება დაარსდეს და მის შესანახად 1,700 მან. გადაიდოს.

✦ **საფოსტო კანტორისა და ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს შენობის** ასაგებად საჭირო ფული გადაიდო. შენობას ააგებენ გოლოვინის პროსპექტის ბოლოში.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 12 ივნისს, დილის 6 საათზე, კაგბეროვის ქუჩაზე მცხოვრები ნინო სვიმონის ასული აბხაზოვისა, ქმართან ჩხუბის შემდეგ, შევიდა მეზობლის ლევან ქავთარაძის სამზარეულოში, ჭერზე თოკი ჩამოაბა, განასკვა და თავის მოკვლის განზრახვით თოკის ყულფს კისერი გაუყარა. საბედნიეროდ ჩქარა შენიშნა ეს მისმა მეგობარმა ქალმა ელისაბედ მამულოვისამ და ქალი თოკიდან ჩამოხსნა და სიკვდილს გადაარჩინა. აბხაზოვისას სამკურნალო დახმარება მიხეილის საავადმყოფოში აღმოუჩინეს.

✦ ცარიცინის ქალაქის გამგეობა შეეკითხა ტფილისისას, არსებობს თუ არა საქალაქო **სტამბა** ⁄ თუ არსებობს, მაშინ გვაცნობეთ, რამდენი დაჯდა მისი მოწყობაო. როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. ქალაქის თვითმმართველობის საკუთარი სტამბა არა აქვს. ამის შესახებ საკითხი გამგეობაში შარშან წინ აღძრეს, მაგრამ გადაუწყვეტავი დარჩა.

✦ 12 ივნისს „გოგილო“-ს აბანოს მახლობლად ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, ‚ეფეორობითი‘ სქესის, დაახლოვებით 10 დღისა.

✦ თორმეტ ივნისს, საღამოს 7 საათზე სომეხთა სემინარიის ახალ შენობაზე, რომელსაც ახლა აგებენ ხარჩოები მოიშალა, და ძირს ჩამოცვივდა და მსუბუქად დაშავა მეხილის ნოქარი ნიკოლოზ იაკობის-ძე გუკასოვი და გარეგინ აკოფას-ძე სარქისოვი, ცამეტი წლისა დაშავებულთ სამკურნალოდ დახმარემა აღმოუჩინეს.

✦ თორმეტ ივნისს, საღამოს 7 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე უეცრივ გარდაიცვალა აბანოდან მომავალი მოხუცი ბეგლარ მერკუნას-ძე მერუთოვი.

✦ თორმეტ ივნისს ტფილისში 16 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის** წლიური კრება, როგორც ვწერდით, 15 ივნისისათვის არის დანიშნული. კრება 7 ივნისისთვის იყო დანიშნული, წევრთა კანონიერი რიცხვიც გამოცხადდა, მაგრამ კრება დახურულ იქმნა განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის პატივსაცემლად.

✦ **ტფილ. მდაბიო მოქალაქეთა** კრება დღეს, საღამოს, მოხდება. კრება მსჯელობას იქონიებს იმის შესახებ, როგორ შეეგებნენ სრულიად სომეხთა კათალიკოს გეორგ მეხუთეს, რომელიც ტფილისში 23 ივნისს ჩამოვა.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება დღეისთვის არის დანიშნული.

✦ **საარქეოლოგიო საზოგაღოების** კრება 16 ივნისს მოხდება. კრება მოისმენს კ. ი. დოდაშვილის მოხსენებას ქართულ ფილოლოგიის შესახებ.

სასწავლებლებში

✦ **ვაჟთა მეორე გიმნაზიაში** 12 ივნისს ეგზამენები დასრულდა.

✦ **ვაჟთა მეხუთე გიმნაზიაში** ეგზამენები დასრულდა. ეს სასწავლებელი წელს პირველად გაათავეს. სულ 22 კაცმა გაათავა.

✦ **ტფილ. მეოთხე სავაჟო გიმნაზია** წელს გაუთავებია ორ ქართველს მოწაფეს: ნიკოლოზ მიხ. კურდღელაშვილსა და პეტრე სარაჯიშვილს.

✦ **მეხუთე სავაჟო გიმნაზია** ვერცხლის მენდლით გაუთავებია ზაქარია ხუციშვილსა.

იაკოგ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო

8 თიბათვეს სოფელ დოესში მღვდელმა ალექსი ელისაბედაშვილმა გადაიხადა პანაშვიდი ბ. იაკოფ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა. გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად თერთმეტი მანათი შეიკრიბა.

სოფ. ასკანა. გადავიხადეთ პანაშვიდი გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. წაკითხულ იქმნა პიოგრაფია.

ზედა-თეკლათის მთავარანგელოზის ეკლესიაში 10 ამ ივნისს გარდავიხადეთ წირვა და პანაშვიდი ნეტარხსენებულ იაკობის სულის მოსახსენებლად. **მღვდელი ნ. ხევცურიანი.**

ნახიჩევანი. გადახდილ იქმნა პანაშვიდი გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად რომელსაც დაესწრო ქალაქ ნახჩეანის ქართველობა.

გ. გამყრელიძე.

ქ. შუშა. განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნა პანაშვიდი 10 ივნისს.

კვირას 10 ამა თვეს **აჭარის** მაცხოვრის ეკლესიაში იქმნა გარდახდილი წირვა ⁄ პანაშვიდი იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. გალობდა აჭარის საძრევლო სკოლის მოწაფეთა გუნდი, მ. კალანდაძის ლოტბარობით. სიტყვა წარმოსთქვა ბლაღოჩინ დავით სუხიაშვილმა.

სოფ. ხიდისთავი. (გორის მაზრა) ჩვენი ძვირფასი მამის, უბადლო აღმზრდელის, სახელოვან პუბლიცისტის და დაუღალავ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის უდროოდ დაკარგვამ მალე მოახწია ჩვენამდინაც. გლოვობს სამშობლო, გლოვობს დაობლებული პატარა ქართველი სამაგალითო მზრუნველის დაკარგვას. კვირას, 10 ივნისს, დიდებულ მამულიშვილის დასაფლავების დღეს, ადგილობრივ ინტელიგენტთა თაოსნობით წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. გალობდა ძმ. გერმანაშვილების გუნდი. პანაშვიდის დაწყებამდე ქ. ახალქალაქის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა მიხეილ გერმანაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და იქ დამსწრეთ გააცნო, თუ ვინ იყო გოგებაშვილი და რა ღვაწლი მიუძღოდა თვის პატარა, დაჩაგრულ, მაგრამ ტურფა სამშობლოს და ერის წინაშე. პანაშვიდს გლეხები ბლომად დაესწრნენ.

გორი. კვირას, 10 ივნისს, დაუვიწყარ ადამიანის და სახელოვან მოქალაქის იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დღეს, ადგილობრივ საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის დაწყებამდე შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა დეკ. ი. კაპანაძემ, ხოლო პანაშვიდის შემდეგ ა. კასრაძემ. ამავე დღეს პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად სომხების ეკლესიაში. პანაშვიდის დაწყებამდე მასწავლებელმა ბაბალოვმა მშვენიერი ქართულით დაახასიათა იაკობ გოგებაშვილის შრომა და მოღვაწეობა თავის სამშობლოს და მეზობელ ერთა საკეთილდღეოდ, აღნიშნა მნიშვნელობა „დედა-ენის“ და ბუნების კარის“, და დაასკვნა — „ჩემს თანაგრძნობას ვუცხადებ ძოძმე ქართველთ ფრიად საგრძნობელ და დანაკარგის გამო“-ო. ხალხი ბლომად დაესწრო.

სან-განიძე.

დაბლა საქარა. იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო კვირას წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი მრავალი ხალხისა, მასწავლებლების და მოსწავლეების თანა დასწრებით. სტუდენტმა მიხეილ ბარბაქაძემ სიტყვა წარმოსთქვა. მამა ბარბაქაძემ კვირემდე ორჯერ გადაიხადა პანაშვიდი მასწავლებლების და მოსწავლეების თანადასწრებით.

შეცდომის გასწორება. „სახ. გაზ.“ № 621-ში გორიდან მოთავსებულ სამგლოვიარო დეპეშაში შეცდომით სწერია—ნატალი ჩერქეზიშვილი; უნდა იყვეს **ნატო ჩუტკერაშვილი.**

სამგლოვიარო წერილები.

ბრიუსელი. ბრიუსელში მყოფ ქართველთა მონდობილობით დ. კასრაძისაგან.

ჰეიდელბერგი. ჰეიდელბერგში მყოფ ქართველთაგან.

ზუგდიდი. ზუგდიდის მაზრის სამღვდელოების კრების მონდობილობით კრების თავმჯდომარე ბლაღოჩინი ევგ. შენგელიასაგან.

ჭიათურა. რგანის სკოლის მასწავლებლები ვასილი შელოძე და ერმალოზ კვანხოლიანი.

ქუთაისის ავ-კარგი

ქუთაისში მრავალი კულტურული დაწესებულებაა; ამას სჭირია საკმაოდ დიდი რიცხვი უანგარო მშრომელისა და ჩვენდა სამარცხვინოდ, მიუხედავად იმისა, რომ ინტელიგენციას საკმაოდ მრავალ რიცხოვანი გვყავს, კაცებს ვერ ვშოულობთ კულტურულ დაწესებულებაში საშუაოდ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი და იგივე კაცი გინდა ქალი რამდენსამე კულტურულ დაწესებულებაში მუშაობს და სარგებლობით, დროს უქონლობის გამო, ვერც ერთს არგია და ვერც მეორეს.

ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს დალოცვილ ქუთაისში, მაგრამ არიან ისეთი პირებიც, რომელნიც ყველგან არიან, ყველგან არაფერს აკეთებენ და მიუხედავად ამისა ყველგან

ბას, ლაპარაკობენ ლათინურად, მათი სახელი, ვალასები, რუმინები. მთელ ევროპის ოსმალეთში ვალასთა რიცხვი უდრის 900,000. რამდენად ალბანეთი მდიდარია ბუნებით, იმდენადვე ღარიბია თავისი ეკონომიური შემოქმედებით. მეურნეობა და მრეწველობა პირველყოფილ მდგომარეობაშია. ბუნება ერთი მადლიანი მეწველე ძროხაა, რომელსაც მოვლა უნდა. ხოლო მოვლის თავი ვის ექნებოდა ამ დაუსრულებელ დესპოტიზმში, რომელსაც მხოლოდ გაჰქონდა ქვეყნიდან სიმდიდრე და არაერთი სახით არ უბრუნებდა მცირედ ნაწილს მაინც. ამიტომაც ქვეყანა თითქო გაშეშთა საზოგადოებრივ ორგანიზაციის ძველ ფორმაში. ცნობილი პრესანსე 1903 წელს საფრანგეთის პალატაში ასე ახასიათებს ალბანელებს: „ალბანელები არიან საღი, მამაცი ხალხი, შემძლე წინსვლისა, სამწუხაროდ ის ერთნაირად გაშეშებულა თავის განვითარებაში ფეოდალურ ეპოქაზე.“ ეს მოსალოდნელიც იყო. მას აკლია განათლება არ აქვს შესაფერი ორგანიზაცია, არ აქვს ხეირიანი გზები. მიუხედავად ამისა მადლიან ბუნების წყალობით ალბანელებს მაინც გააქვთ სიმინდი, ზეთის ხილი, თუთუნი, ლიმონი, ფორთოხალი და ხვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ერის მთლიანობის დასამტკიცებლად და თემობრივ კარჩაკეტილობის მოსასპობად ეროვნულ ლიტერატურას. ალბანელებს ეროვნული ლიტერატურა, შეგვიძლია ვთქვათ, დღეს ებადებათ, დღესაა შექმნის ხანაში. აშკარაა, ასეთ ხალხში თემობრივ თავისებურებას ფართო გზა ჰქონდა გაშლილი განვითარებისათვის. ლიტერატურა საღი და არა გათახსირებული დამცველიცაა ეროვნულ ენის სიწმინდისა და მისი ბუნებრივი განვითარებისა. რადგან ის არ მოეჩოებოდათ ალბანელებს, ამიტომაც ყოველი კუთხე სესხულობდა ბევრ სიტყვას მეზობელ ხალხისაგან, ერთი ბერძნისგან, მეორე სერბისგან და სხვა. ამიტომ თემთა შორის მეტი ლიგვისტიური განსხვავებაა, ვიდრე უნდა იყოს. ოსმალეთში მცხოვრები ალბანელები განიყოფებიან ორ დიდ ჯგუფად. ესენია ტოსკები და გეგები. მდინარე სკუბია, რომელიც ერთვის ადრიატიულ ზღვას ქალაქ დურაზოსა და ავლანას შუა გზაზე, შეგვიძლია ჩავთვალოთ როგორც საზღვარი ორ ჯგუფს შორის. ტოსკები, ანუ სამხრეთის ალბანელები უფრო განათლებული და შესაძლებელია, ნაკლები მეომარნი არიან, ვიდრე მათი ჩრდილოელი ძმები. ტოსკები არ არიან დანაწილებული განსაზღვრულ თემებად, მათ განაგებს ბეი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მათ დიდ საქმეებში. გეგები დანაწილებული არიან მეომართა თემებად, რომელთაც უპირავთ ალბანეთის ჩრდილო ნაწილი. აქ ჯერ კიდევ ბატონობს პატრიარქალური განწყობილება და განიგებიან დაუწერელი კანონებით, ადათებით. თემის ანუ გვარის ხელმძღვანელია უხუცესი. ხშირად ორი და სამი თაობა ცხოვრობს ერთად-ერთს დიდს გამაგრებულ კოშკში.

ბიზანტიის იმპერიის არსებობის დროს ალბანეთი ბიზანტიას ემორჩილებოდა და შედიოდა ილირიის პრეფექტურაში. მაშინ ალბანელები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ რადგან ბერძნებისა და ლათინთა სამღვდელოება არ ქადაგებდა სახარებას ალბახელთა სამშობლო ენაზე, ამიტომაც ისინი უფრო სახელით იყვნენ ქრისტიანები. პირველად ოსმალოები შეეიდნენ ალბანეთში 1336 წელს. სასტიკი ომი გამოუცხადეს ალბანელებმა, პირველ ხანებში კიდეც იმარჯვებდნენ, არა ერთხელ გააბრუნეს ოსმალები, მაგრამ საბოლოოდ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ დამარცხებულ იქმნენ. ამ დამარცხებას ისლამის გავრცელებაც მოჰყვა ალბანეთში.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 623.

*) მე აქ სიტყვას „ორტოდოქსს“ ვხმაროობ „მართლმადიდებლის“ და მაგიერ ვფიქრობ, კარგი იქნება სხვებიც დამეთანხმებოდენ, რადგან სიტყვა „მართლმადიდებელი“ სხვა სარწმუნოებისათვის შეურაცყოფელია რაც ჩვენ-ვის, სადაც სამი სარწმუნოება არსებობს, არა სასურველია, გარდა იმისა, რომ თავისთავადაც უკულტურობა.

დღეს ალბანელ ერს აქვს სამი სარწმუნოება; კათოლიკური, ორტოდოქსალური და მუსულმანური. ორი მესამედი ალბანელთა გამაჰმადიანდა უფრო წუთიერ მოსაზრებადა, ვიდრე სულიერ მოთხოვნილებათა გამო, რადგან გამაჰმადიანება მათ საშუალებას აძლევდა ძველი უპირატესობანი შეენარჩუნებიათ. რაც შეეხება დანარჩენ მესამედს, სამხრეთის ქრისტიანები ეკუთვნიან ორტოდოქსთა ეკლესიას, ხოლო ჩრდილოეთისა, რომის კათოლიკეებს. საერწმუნოებრივი დანაწილება ბევრ ერისთვის დიდ უბედურებად გადაიქცა. ბევრს შეეგნებით სუსტს ერში სარწმუნოებამ ძმები ერთმანეთს დაუშორა და ხშირად ერთმანეთის სისხლიც აღვრევინა. ვერაფერს ასეთს ვერ ვაჭრნევთ ალბანელთა შორის, თუმცა საამისო პირობები თითქო განგებ არის შექმნილია. ყოველი ალბანელი ყოველ უწინარეს ალბანელია. არას დროს სარწმუნოებრივ ნიადაგზე ალბანელთა შორის შეტაკება არ ყოფილა. სრული პატივისცემა ურთიერთ შორის უზრუნველყოფს ერის მთლიანობას. მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეს არის ისეთი მაზრები, სადაც მცხოვრებნი სულ ქრისტიანები არიან, როგორც მიღრიდიტების ტერიტორია, არის აგრედვე სულ მუსულმანთა მაზრებიც, როგორც მოოტი, მაგრამ მთელი ქვეყნის უდიდეს ნაწილში მცხოვრებნი არეულად სცხოვრობენ, ერთი ნაწილი მუსულმანია, მეორე—ქრისტიანი. მიუხედავათ ამისა მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა არ დარღვეულა არას დროს. ამასთანავე საყურადღებოა ერთი მოვლენაც. მუსულმანობის მიღება ქრისტიან ხალხისთვის, რომელიც დედაკაცში ისეთსავე ადამიანურ პიროვნებას სცნობს, როგორც მამაკაცში, საოცარი კულტურული უკან დახევაა, ხალხის ერთი ნახევრის უპიროვნო მონად ქცევაა, რაც მეტად ამცირებს

მათ ირჩევენ. ამ ძმრივ ზოგიერთნი ისე მიჩვეულნი არიან არჩევას, რომ თუ ვინმემ არ დასახელა [illegible] ირჩიეს, მომაკვდავებელი ცოდვად ჩაგვთვლ[illegible]

ქუთაისის ქართულ გიმნაზიასთან არსებობს მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება. რვა წელიწადია ამ საზოგადოებას კრების მოწვევა ჯერ-თელაც არ გაჰხსენებია. რვა წლის შემდეგ გამგეობას მოუწვევია საერევიზიო კომისია, რომელსაც განუხილავს ანგარიში და შეუდგენია მოხსენება.

ამ მოხსენებაში, ორ-სამ ვათ, საერევიზიო კომისია ურჩევს კრებას ახალი კაცები აირჩიეთო. ეს თავის თავადაც გასაგები საქმეა, მაგრამ არჩევნებზე, რომ საქმე მიდგა ერთი წევრი ძველი გამგეობისა კვლავ დაასახელეს; ჯერ უარი სთქვა, მერე შეფიქრდა, ბოლოს დათანხმდა. ეს პირი, დარწმუნებული ვარ, თუ ათში არა ხუთ საკულტურო დაწესებულებაში მაინც იღებს მონაწილეობას და ამიტომ მისი მოღვაწეობა არც სულს არგია და არც გულს.

ამავე საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ქალაქის მოურავის მეუღლე ელენე ჩიქოვანისა, ნაცვლად თ-დ სვ. წერეთლის მეუღლისა, რომელიც საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

ეჭვი არა გვაქვს, ახალი თავმჯდომარე გააცხოველებს საზოგადოების მოქმედებას და ხელს შეუწყობს უფასო სკოლების ძლევას უდარიბეს მოსწავლეთათვის.

ტფილისის ქართულ გიმნაზიაში ამ საქმის განხორციელება დიდად პატივცემულმა ქ-ნმა მარიამ ორბელიანისამ იტვირთა და როგორც გვესმის, საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეკიდება ამ საქმეს. ფუ ტფილასში ასეთი სადილების მოწყობა საჭირო იყო, აქაურ გიმნაზიისათვის ეს აზრი ათად უფრო საჭიროა, რადგან ჩვენი გიმნაზიის მოსწავლენი ბევრად უფრო ღარიბნი არიან ⁄ ესგარემოება ავალებს საქველმოქმედო საზოგადოებას ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

* * *

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლ თ-დი **ფარ. მიქელაძე** მოსკოვიდან დაბრუნდა.

* * *

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ **გიორგი ზდანოვიჩს** ამ თვის დამლევს ელიან პეტერბურგიდან.

* * *

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობაში 10 ივნისს აირჩიეს: ქ-ნი ელენა ჩიქოვანისა, ქ-ნი ელენე

მთელი ხალხის კულტურულ ღონეს. მაჰმადიან ალბანელებში თუმცა აუცილებლივ ქალის მდგომარეობა ფრიად დაბალ საფეხურზეა, მაგრამ მრავალ-ცოლიანობა მაინც არ არის, ოჯახის სიწმინდე ამ გვარად შეწახულია, ეს მოწმობს ძველ კულტურულ სიმტკიცეს, რომელიც მაჰმადიანურ ფანატიკოსობასაც კი ვერ შეურყევია. თვითონ კათოლიკე ქრისტიანებს, მირიდიტებს, ხშირად მაჰმადიანი ქალი მოჰყავთ ცოლად. ალბანელთა სარწმუნოებრივ შეხედულების დასახასიათებლად ფრიად საყურადღებოა ალბანელთა ლიგის ერთ პროკლამაციიდან შემდეგი ადგილი; „წყეულ იყოს ის ადამიანიო, ამბობს პროკლამაცია, ვინც თავის სარგებლობაზე ფიქრობს, როცა სამშობლო გვეძახისო. გადავწყვიტოთ, რომ ჩვენ ლიგაში ადგილი არ აქვს სარწმუნოებას და რომ ყოველ უწინარეს ჩვენ ვართ ალბანელები“. მეორე პროკლამაცია ამბობს! „ნუ დავივიწყებთ, ძმებო ალბანელები, რომ ღმერთმა ერები სარწმუნოებათა წინედ შექმნაო“. ჩვენ, რა საკვირველია, აქ ამ საკითხის გარკვევას არ გამოუდგებით, მხოლოდ საგულისხმიეროა ჩვენთვის ვიცოდეთ, თუ როგორ ღრმად და საღად აქვთ ალბანელებს შეგნებული ეროვნული სიმტკიცის ძალა, ისიც ცხადია ჩვენთვის, რომ გამაჰმადიანება ჯერ კიდევ არ ნიშნავს „გათათრებას“, როგორც ჩვენში ხშირად ამბობს „შეგნებულიც“ და შეუგნებელიც.

ალბანელების საერთაშორისო მდგომარეობა არაა სანუგეშო. ევროპის ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ხალხებს მეზობლად უკვე აქვთ თავიანთი სახელმწიფონი. მაკედონიის ბულგარებს ყოველივე დახმარებას უწევენ ბულგარიიდან, სერბებს სერბიიდან, ბერძნებს საბერძნეთიდან, ხოლო ალბანელთა მიწა-წყალს სიხარბით დასცქერის ხუთი სახელმწიფო. ავსტრია, იტალია, ბულგარია, სერბია და სა-

წულუკიძისა, ქ-ნი ეკატერინე ნიკოლაძისა და ბ-ნი რ. მახარაძე; ამათ კანდიდატებად—ბ-ნნი ზ. მაჭავარიანი და ალ. კრინიკი. ამათ მიემატება გიმნაზიის საპედაგოგო საბჭოს მიერ არჩეული 3 წევრი და მაშინ გამგეობა შეუდგება თავის საქმეს.

ჩვენი „საზოგადო“ საქმეები

(დასასრული *)

